კარატეს

საერთაშორისო ტურნირი

OPEN GEORGIA 2025

14-15 ივნისი, თბილისი

დებულება დამტკიცებულია

საქართველოს სპორტული კარატეს

ეროვნული ფედერაციის გამგეობის მიერ

ა(ა)იპ საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაცია, ს.კ.: 405562500

მის.: უნივერსიტეტის ქ. #15ა, 0186 თბილისი, საქართველო

ბატონი თემურ გიგნაძე,
საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი.

მისასალმებელი სიტყვა

ძვირფასო სპორტსმენებო, მწვრთნელებო, ოფიციალურ პირებო და საპატიო სტუმრებო,

საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის, როგორც მასპინძელი ეფედერაციის სახელით მივესალმები კარატეს საერთაშორისო ტურნირის Open Georgia 2025 მონაწელეებს. აღნიშნული პრესტიჟული ღონისძიება წარმოადგენს კიდევ ერთ ეტაპს კარატეს ხელოვნების პოპულარიზაციის გზაზე.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საქართველოს დედაქალაქ თბილისში, რომელსაც აქვს პატივი უმასპინძლოს ნიჭიერ სპორტსმენებს მთელი მსოფლიოდან. თქვენი აქ ყოფნა ნიშნავს სპორტისადმი თქვენს თავდადებას, ერთიანობას და მეგობრულ სულისკვეთებას. მოხარული ვართ, რომ ტურნირის განმავლობაში ვიხილავთ სპორტული და შემოქმედებითი უნარების დაუვიწყარ მომენტებს.

ჩვენი ფედერაცია მოწოდებულია ხელი შეუწყოს კონკურენტულ და ამასთან, ინკლუზიურ გარემოს, სადაც თითოეულ მონაწილეს შეუძლია აჩვენოს თავისი შესაძლებლობები და იბრძოლოს გამარჯვებისთვის. ჩვენმა გუნდმა გულმოდგინედ იმუშავა იმისთვის, რომ ღონისძიება შეესაბამებოდეს ორგანიზების საუკეთესო სტანდარტებს.

გულწრფელ მადლობას ვუხდი ყველა მოხალისეს, სპონსორსა და მხარდამჭერს, რომელთა ძალისხმევამ შესაძლებელი გახადა ასპარეზობის გამართვა. თქვენი თანადგომა არის კარატეს წინსვლის საფუძველი.

ასპარეზობის განმვალობაში მსურს მოვუწოდო თვითოეულ თქვენთაგანს, გაერთიანდეს მეგობრობისა და პატივისცემის სულისკვეთებით, რომელიც ამდიდრებს კარატეს, როგორც სპორტს.

გმადლობთ!

თემურ გიგნაძე
სსკეფ-ის პრეზიდენტი

ორგანიზატორი
საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაცია

მხარდამჭერი ორგანიზაცია
საქართველოს სპორტის სამინისტრო

საორგანიზაციო საკითხები
ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე:
ტატო ბოლქვაძე: +995 591 40 97 67 , ელ. ფოსტა: gsknf.info@gmail.com

ტურნირის მსაჯობა

ტურნირზე იმსაჯებენ კარატეს მსოფლიოსა (WKF) და ევროპის ფედერაციის(EKF), ასევე საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის მიერ აკრედიტირებული მსაჯები.

ტურნირის მთავარი მსაჯი, საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე, ევროპის კარატეს ფედერაციის (EKF) სამსაჯო კომისიის წევრი, თათი მელუა; მთავარი მსაჯის მოადგილე, საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, WKF&EKF სერტიფიცირებული მსაჯი, კონსტანტინე ახალაძე.

სამწვრთნელო სემინარი

მწვრთნელების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 13 ივნისს, 2 საათზე ჩატარდება სამწვრთნელო სემინარი, რომელსაც გაუძღვება თათი მელუა.
სემინარი არის უფასო, დასწრება სავალდებულოა. გაიცემა აკრედიტებული მწვრთნელის სერტიფიკატი, რომლის გარეშეც მწვრთნელი ასპარეზობაზე არ დაიშვება.
სამინარში მონაწილე მწვრთნელებმა განაცხადი გამოგზავნეთ ელ. ფოსტაზე, პირადი ნომრის და დაბადების თარიღის მითითებით: gsknf.info@gmail.com
დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდეთ ირაკლი ტყებუჩავას: +995 577 155 100.

ტურნირის მიზნები და ამოცანები

. კარატეს განვითარება და პოპულარიზაცია;
. სპორტსმენების, მწვრთნელების და მსაჯების ხელშეწყობა გამოცდილების მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
. საპასუხისმგებლო შეჯიბრების წინ სპორტსმენების სათანადო სპორტულ კონდიციაში მოყვანა;
. აღნიშნულ ტურნირს ასევე აქვს, სპორტსმენთა სარეიტინგო მნიშვნელობა, წარმოადგენს A კლასის საერთაშორისო ტურნირს, საქართველოს სპორტსმენებს შედეგების მიხედვით მიენიჭებათ შესაბამისი ქულები.

ტურნირის სარეგისტრაციო პირობები
სპორტსმენები ტურნირში იასპარეზებენ იმ ასაკობრივ კატეგორიაში, რომელიც შეესაბამება ტურნირის ასპარეზობის დღეს, 2025 წლის 14 და 15 ივნისს.

ტურნირზე მონაწილეობის მსურველები უნდა დარეგისტრირდნენ ონლაინ ფლატფორმაზე www.sportlab.ge შესაბამის ასაკობრივ და წონით კატეგორიაში არაუგვიანეს 2025 წლის 12 ივნისისა, წინააღმდეგ შემთხვევაში სპორტსმენი შეჯიბრზე არ დაიშვება.

უცხოეთის კლუბებმა სარეგისტრაციო განაცხადი უნდა გამოაგზავნონ შემდეგ მეილზე: gsknf.info@gmail.com.

ასპარეზობაში მონაწილე სპორტსმენების ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელია მისი წარმდგენი სპორტული კლუბის ხელმძღვანელი.

რეგისტრაციის დახურვის შემდგომ ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია კლუბის მიერ დაშვებული უზუსტობის გამო, განხორციელდება მხოლოდ დამატებითი თანხის გადახდის პირობით, რომელიც შეადგენს 50 ლარს ყოველ ცვლილებაზე. უშუალოდ შეჯიბრის დღეს არანაირი ცვლილება არ განხორციელდება.

კლუბის ხელმძღვანელი ვალდებულია რეგისტრაციის დახურვამდე შეამოწმოს მის მიერ მიმდინარე შეჯიბრზე დარეგისტრირებული მონაწილეების სია **www.sportlab.ge** (საკუთარი კლუბის გვერდზე „აქტივობები“ -ს განყოფილება);

ტურნირზე მონაწილეობის საფასური

საერთაშორისო ტურნირის Open GEORGIA 2025 მონაწილეობის საფასური როგორც ინდივიდუალურ, ისე გუნდურ კატეგორიაში საქართველოს მოქალაქეებისთვის შეადგენს 50 ლარს, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის 35 აშშ დოლარს. საქართველოს კლუბებმა სპორტმენების მონაწილეობის საფასურის გადახდა უნდა განახორციელონ უნაღდო ანგარიშწორებით შემდეგ საბანკო რეკვიზიტზე: საქართველოს ბანკი, GE21BG0000000538430942 არაუგვიანეს რეგისტრაციის დასრულების თარიღისა (12 ივნისი, 2025).

უცხოური გუნდებისათვის მონაწილეობის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს ნაღდი ანგარიშსწორებით, შეჯიბრების პირველ დღეს, 2025 წლის 14 ივნისს.
მონაწილეობის საფასურის გადაუხდელობის ან არადროული ჩარიცხვის შემთხვევაში სპორტსმენი ვერ მიიღებს შეჯიბრებაზე მონაწილეობას. რეგისტრაციის დასრულების შემდგომ სპორტსმენის სხვადასხვა მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სპორტსმენს/კლუბს მონაწილეობის საფასური არ დაუბრუნდებათ.

მონაწილე გუნდების ტრანსპორტირების, სასტუმროში განთავსებისა და კვების ხარჯები უნდა გასწიონ შესაბამისმა სპორტულმა კლუბებმა.

ტურნირზე მოქმედი წესები

ტურნირი ჩატარდება მსოფლიო კარატეს ფედერაციის დამტკიცებული წესებით (WKF).
ყველა სპორტსმენი ვალდებულია გამოცხადდეს მოსამზადებელ არეალში, გასახურებელ ზონაში, შეჯიბრების ორგანიზატორების მიერ გამოცხადებიდან არაუგვიანეს 15 წუთისა, რომელზეც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება უშუალოდ მწვრთნელს, დაგვიანების შემთხვევაში სპორტსმენი მოიხსნება შეჯიბრებიდან.

სპორტსმენი რომელიც 2 წუთის განმავლობაში არ გამოცხადდება ტატამზე შესაბამისი აღჭურვილობით (კაპა, შესაბამისი ფერის ქამარი და კარატეს ამუნიცია), დისკვალიფიცირებული იქნება შეჯიბრებიდან. 10 წლის ასაკიდან „კაპა“ ყველა კატეგორიის მონაწილეთათვის სავალდებულოა, ხოლო 12 წლიდან დამცავი ჟილეტი ვაჟებში, ამასთან დამატებით გოგონებში სპეციალური მკერდის დამცავები.

საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დადგენილი დარბაზში მოქმედების წესების დაცვა სავალდებულო იქნება როგორც სპორტული კლუბების წარმომადგენლებისათვის, ასევე გულშემატკივრებისათვის. მათი მხრიდან არაეთიკური საქციელი უმალ დაფიქსირდება ტურნირის

სამსაჯო კომიტეტის მიერ და გამოტანილი იქნება შესაბამისი სადისციპლინო სასჯელი, რომელიც შესაძლებლია შეეხოს სპორტსმენს, მის მწვრთნელს და კლუბს რომელსაც დამრღვევი პირი და/ან პირები წარმოადგენენ.

მწვრთნელი სპორტული ფორმის გარეშე ტატამთან არ დაიშვება. მოასპარეზე სპორტსმენს უნდა ახლდეს მხოლოდ ერთი მწვრთნელი, მწვრთნელები, რომელთა სპორტსმენებიც არ გამოდიან მოცემული დროის მონაკვეთში, არ უნდა იმყოფებოდნენ საასპარეზო სივრცეში. აღნიშნული დარღვა გამოიწვევს მათ დისკვალიფიკაციას მიმდინარე ასპარეზობიდან.

დაჯილდოვების ცერემონიალზე სპორტსმენები დაიშვებიან მხოლოდ კარატეგით ან სტანდარტული სპორტული ფორმით (ზედა მოსაცმელი გრძელი სპორტული შარვალით). დაჯილდოების ცერემონიის დროს, კვარცხლბეკთან დაუშვებელია ფოტო გადაღება არაოფიციალური პირების მონაწილეობით. აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებელია სპეციალური ნებართვა, რომელსაც გასცემს საორგანიზაციო კომიტეტი.

სპორტსმენების აწონვები

აწონვები განხორციელდება 2025 წლის 13 ივნისს, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 15ა, საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის ოფისში 12.00 საათიდან 19.00 საათამდე;
14 და 15 ივნისს შესაბამის წონით კატეგორიებში 10.00-12.00 სთ. ასპარეზობის დარბაზში. მონაწილეობისათის აწონვები სავალდებულოა. აწონვების შემდეგ მწვრთნელებს გადაეცემათ მწვრთნელის ბეიჯი, რომლის გარეშეც მწვრთნელი ასპარეზობაზე არ დაიშვება;

სპორტსმენის წონა უნდა აკმაყოფილებდეს წონითი კატეგორიის მოთხოვნას, დასაშვებია ბიჭებში + 200 გრ და გოგონებში + 500 გრ. სხვაობა. სპორტსმენი, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პირობას შეჯიბრებიდან დისკვალიფიცირებული იქნება, საქართველოს სპორტსმენებს სარეიტინგო ქულა არ დაეწერებათ.

ტურნირის ასაკობრივი და წონითი კატეგორიები

ასაკი	ვაჟები	გოგონები	დრო,წთ
6-7	-22 / -27 /+27 (კგ)	-22 / -27 / +27 (კგ)	1.5
8-9	-25 / -32 / -38 / +38 (კგ)	-28 / -35 / +35 (კგ)	1.5
10-11	-30 / -35 / -40 / -45 / +45 (კგ)	-30 / -35 / -40 / +40 (კგ)	1.5
12-13	-40 / -45 / -50 / -55 / +55 (კგ)	-42 / -47 /-52 / +52 (კგ)	1.5
14-15	-52 / -57 / -63 / -70/ +70 (კგ)	-47 / -54 / -61 / +61 (კგ)	2
16-17	-55 / -61 / -68 / -76 / +76 (კგ)	-48 / -53 / -59 / -66 / +66 (კგ)	2
18-20	-60 / -67 / -75 / -84 / +84 (კგ)	-50 / -55 / -61 / -68 / +68 (კგ)	3
+18	-60 / -67 / -75 / -84 / +84 (კგ)	-50 / -55 / -61 / -68 / +68 (კგ)	3
+18	გუნდური კუმიტე (3+1)	გუნდური კუმიტე (3+1)	3
8-11	კატა	კატა	
12-13	კატა	კატა	
14-15	კატა	კატა	
16-17	კატა	კატა	
18-20	კატა	კატა	
16 +	კატა	კატა	
12-15	გუნდური კატა (ბუნკაის გარეშე)	გუნდური კატა (ბუნკაის გარეშე)	
16-20	გუნდური კატა (ბუნკაის გარეშე)	გუნდური კატა (ბუნკაის გარეშე)	

16+	BLIND/VISUALLY IMPAIRED K10	უსინათლოთა/მხედველობა დაქვეითებულთა კატა K10	
16+	INTELLECTUALLY IMPAIRED K21	ინტელექტუალურ უნარ შეზღუდულთა კატა K21	
16+	INTELLECTUALLY IMPAIRED K22	ინტელექტუალურ უნარ შეზღუდულთა კატა K22	
16+	WHEELCHAIR USER K30	ეტლით მოსარგებლეთა კატა K30	

სპორტსმენების წილისყრა განხორციელდება 2025 წლის 13 ივნისს და შეხვედრების ტექნიკური ბადე გამოქვეყნდება ონლაინ პლატფორმაზე **www.sportlab.ge.**
შენიშვნა:

. შეჯიბრება წარიმართება დამამშვიდებელი სისტემით. სპორტსმენი, რომელიც 2 წუთის განმავლობაში არ გამცხადდება შესაბამისი ეკიპირებით, დაექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
. არ შეიძლება სხვადასხვა ასაკობრივ ან წონით კატეგორიაში ერთი და იგივე სპორტსმენის რეგისტრაცია, გარდა კუმიტესა და კატას დისციპლინებისა, 18-20 და უფროსების ასაკობრივი კატეგორიებისა.
. გუნდური კატას წარმოდგენა ბუნკაის გარეშე;

ასპარეზობის პროგრამა

12 ივნისი 2025 წ. (ხუთშაბათი) - ტურნირზე რეგისტრაციის დასრულება;
13 ივნისი 2025 წ. (პარასკევი) -აწონვები 12.00 საათიდან 19.00 საათამდე, ფედერაციის ოფისში, უნივერსიტეტის ქუჩა 15ა;
13 ივნისი 2025 წ. (პარასკევი) - სამწვრთნელო სემინარი 14.00 სთ., უნივერსიტეტის ქუჩა 15ა;
14 ივნისი 2025 წ. (შაბათი) ტურნირის 1-ლი დღე, კატეგორიები: 14-15 / 16-17/ 18-20/ 18+ კუმიტე და 18+ გუნდური კუმიტე, 14-15 / 16-17/ 18-20/ 16+ კატა, 12-15/ 16-20 გუნდური კატა და პარა კატა 16+.

- ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის შეკრება 9:00;
- ტურნირის მსაჯთა კომიტეტის შეკრება, 9:00;
- ასპარეზობის დაწყება 10:00;
- მიმდინარე დღის აწონვები: 10.00-12.00 საათამდე დარბაზში;
- დაჯილდოების ცერემონია - წონითი კატეგორიის დასრულებისთანავე.

15 ივნისი 2025 წ (კვირა) ტურნირის მე-2 დღე, კატეგორიები: 6-7 / 8-9 / 10-11 / 12-13 კუმიტე და 8-11/12-13 კატა.

- ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის შეკრება 9:00;
- ტურნირის მსაჯთა კომიტეტის შეკრება, 9:00;
- ასპარეზობის დაწყება 10:00 ;
- მიმდინარე დღის აწონვები: 10.00-12.00 საათამდე დარბაზში;
- დაჯილდოების ცერემონია - წონითი კატეგორიის დასრულებისთანავე.

შეჯიბრის საორიენტაციო განრიგი

13 ივნისს ონლაინ პლატფორმაზე www.sportlab.ge გამოქვეყნდება ტურნირის შესაბამისი კატეგორიების დაწყების დრო და შეჯიბრების მონაწილეთა სიები, რის საფუძველზეც გამოქვეყნდება საბოლოო განრიგი.

დარბაზი

შეჯიბრება ჩატარდება ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა 15ა, ახალი ოლიმპიური სპორტის სასახლე.



შენიშვნა:

ტურნირის ორგანიზატორები იტოვებენ უფლებას შეჯიბრის მსვლელობის პერიოდში მოახდინონ ცვლილებები, რის შესახებაც მონაწილეებს ეცნობებათ საჯაროდ.

საქართველოს სპორტული კარატეს
ეროვნული ფედერაციის გამგეობა